ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3353189

ნომერი: AR1517522

თარიღი : 26.06.2017

გაცემის თარიღი : 26.06.2017

გაცნობის თარიღი : 27.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმის , N 35 / ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმე , N 35-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ თხელიძე პ/ნ 01005008943
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 53ა ბ. 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3154089 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 26 ივნისს №AR1517522 განაცხადით მომართა ბესიკ თხელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 23

მარტის №3154089 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3154089 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ქუჩა საირმის, №35 / ქ. თბილისი, ქუჩა საირმე, №35-ის მიმდებარედ, შპს ,,საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.14.025.039), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 2672.1 კვ.მ-ის ნაცვლად 2680.2 კვ.მ-ის და შესაბამისად საერთო ფართობად 4522.6 კვ.მ-ის ნაცვლად 4530.7 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3154089 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადებლის მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3154089 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი 2680.2 კვ.მ და შესაბამისად საერთო ფართობი 4530.7 კვ.მ. სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3154089 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის №3154089 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.